საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

ქ. თბილისი № 1 / § III

« 27 » თებერვალი 2019 წ.

ა(ა)იპ ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტის ადმინისტრაციული საჩივრის დაკმაყოფილების შესახებ

მიმდინარე წლის 21 თებერვალს საქართველოს იუსტიციის უმაღლეს საბჭოში ჩატარდა ადმინისტრაციული წარმოება იუსტიციის უმაღლეს საბჭოში მიმდინარე წლის 21 იანვარს შემოსულ ა(ა)იპ ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტის 2019 წლის 17 იანვრის ადმინისტრაციულ საჩივართან (№104-ო) დაკავშირებით. ადმინისტრაციული საჩივრით მოთხოვნილ იქნა ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ბათილად ცნობა და საჯარო ინფორმაციის გაცემაზე პასუხისმგებელი პირისათვის საჯარო ინფორმაციის გაცემის დავალება.

ადმინისტრაციული წარმოების შედეგად გამოირკვა შემდეგი:

ა(ა)იპ ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტმა 2018 წლის 13 დეკემბერს განცხადებით მიმართა საქართველოს იუსტიციის უმაღლეს საბჭოს და მოითხოვა სტატისტიკური მონაცემები თბილისის საქალაქო სასამართლოს თითოეული მოსამართლის მიერ განხილულ საქმეთა რაოდენობის, საქმის განხილვის საპროცესო ვადების დაცვისა და გადაწყვეტილების მომზადების ვადების დაცვის თაობაზე, რომელიც მოიცავდა 2015 წლიდან განცხადებით მომართვის თარიღამდე პერიოდს. იუსტიციის უმაღლესი საბჭოს საჯარო ინფორმაციის გაცემაზე პასუხისმგებელი პირის 2018 წლის 20 დეკემბრის №2347/3489-03-ო წერილით ა(ა)იპ ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტს უარი ეთქვა მოთხოვნილი სტატისტიკური ინფორმაციის გაცემაზე იმ მოტივით, რომ იუსტიციის უმაღლესი საბჭო ამ პერიოდისათვის ასეთი სახის სტატისტიკას არ აწარმოებდა.

საჩივრის ავტორის განმარტებით, უარი მისი მოთხოვნის დაკმაყოფილებაზე არის უკანონო. კერძოდ, საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2011 წლის 27 დეკემბრის №1/226 გადაწყვეტილებით დამტკიცებული „საერთო სასამართლოს მოსამართლის საქმიანობის ეფექტურობის შეფასების წესის" პირველი მუხლი იუსტიციის უმაღლეს საბჭოს ავალდებულებს ყოველ 6 თვეში ერთხელ შეაფასოს მოსამართლის საქმიანობის ეფექტურობა მოთხოვნილი სტატისტიკური მასალების განზოგადების მეშვეობით. შესაბამისად, ა(ა)იპ ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტის მიერ მოთხოვნილი ინფორმაცია წარმოადგენს იუსტიციის უმაღლეს საბჭოში დაცულ, სამსახურებრივ საქმიანობასთან დაკავშირებით მიღებულ ინფორმაციას, რომელიც სზაკ-ის მე-2 მუხლის პირველი ნაწილის „მ" ქვეპუნქტის მიხედვით

ითვლება საჯარო ინფორმაციად, არ შეიცავს სზაკ-ის 28-ე მუხლით გათვალისწინებულ სახელმწიფო, პროფესიულ ან კომერციულ საიდუმლოებას ან პერსონალურ მონაცემებს და სზაკ-ის მე-10 მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად ექვემდებარება გაცემას.

საჯარო ინფორმაციის გაცემაზე პასუხისმგებელმა პირმა განმარტა, რომ საჩივრის ავტორის მიერ მოთხოვნილი სტატისტიკური მონაცემების წარმოებაზე პასუხისმგებელ სუბიექტს წარმოადგენს საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს სასამართლო მენეჯმენტის დეპარტამენტი. აღნიშნული დეპარტამენტიდან მიღებული განმარტებით, მოთხოვნილი სტატისტიკური მონაცემები იმ დროისათვის არ იყო ნაწარმოები.

ადმინისტრაციული საჩივრის შესწავლის, ადმინისტრაციული წარმოების მასალების სრულყოფილად გამოკვლევისა და მხარეთა ახსნა-განმარტებების მოსმენის შედეგად მიჩნეულ იქნა, რომ ა(ა)იპ ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტის ადმინისტრაციული საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

სზაკ-ის მე-2 მუხლის პირველი ნაწილის „მ" ქვეპუნქტის მიხედვით, საჯარო ინფორმაციას წარმოადგენს საჯარო დაწესებულებაში დაცული, აგრეთვე საჯარო დაწესებულების ან მოსამსახურის მიერ სამსახურებრივ საქმიანობასთან დაკავშირებით მიღებული, დამუშავებული, შექმნილი ან გაგზავნილი ინფორმაცია. სზაკ-ის 28-ე მუხლი ადგენს საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობას. კერძოდ, აღნიშნული მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, „საჯარო ინფორმაცია ღიაა, გარდა კანონით გათვალისწინებული შემთხვევებისა და დადგენილი წესით სახელმწიფო, კომერციული ან პროფესიული საიდუმლოებისთვის ან პერსონალური მონაცემებისთვის მიკუთვნებული ინფორმაციისა".

ა(ა)იპ ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტის მიერ მოთხოვნილი ინფორმაცია სტატისტიკური მონაცემების თაობაზე წარმოადგენს საჯარო ინფორმაციას. კერძოდ, აღნიშნული სტატისტიკური მონაცემების წარმოებას ითვალისწინებს საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2011 წლის 27 დეკემბრის №1/226 გადაწყვეტილებით დამტკიცებული „საერთო სასამართლოების მოსამართლის საქმიანობის ეფექტურობის შეფასების წესი". ამასთან, არ არსებობს საჯარო ინფორმაციის გაცემაზე უარის თქმის კანონმდებლობით დადგენილი საფუძველი.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 201-ე მუხლის პირველი ნაწილის „ა" ქვეპუნქტის შესაბამისად:

1. ა(ა)იპ ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტის ადმინისტრაციული საჩივარი დაკმაყოფილდეს.

2. ბათილად იქნეს ცნობილი საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს საჯარო ინფორმაციის გაცემაზე პასუხისმგებელი პირის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი - 2018 წლის 20 დეკემბრის №2347/3489-03-ო წერილი.

3. დაევალოს საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს საჯარო ინფორმაციის გაცემაზე პასუხისმგებელ პირს მოთხოვნილი საჯარო ინფორმაციის გაცემა კანონმდებლობით დადგენილ ვადაში.

4. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში, თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კილომეტრი, №6).

ზაზა ხარებავა

საქართველოს იუსტიციის
უმაღლესი საბჭოს წევრი